ხელშეკრულება
სახელწიფო შესყიდვების შესახებ
(მომსახურების შესყიდვა)

თბილისი 03 იანვარი 2011 წელი

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი „თბილისის №202 საჯარო სკოლა“ (შემდგომში - შემსყიდველი) დირექტორის ხათუნა ჯალაღონიას სახით და მეორეს მხრივ, იურისტი (შემდგომში - მიმწოდებელი) ვლადიმერ გამრეკელაშვილის სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ბიუჯეტის სახსრებით (ვაუჩერი) მომსახურების (იურიდიული მომსახურება) შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად ერთ პირთან მოლაპარაკების გზით.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია:
2.1.1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სადამფუძნებლო დოკუმენტაციის შესწავლა, მომზადება მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით.
2.1.2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შინაგანაწესის მომზადება.
2.1.3. საქმისწარმოების დოკუმენტების შესწავლა, შედგენა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2.1.4. სამეურვეო საბჭოს, პედ-საბჭოს სხდომის ოქმების შესწავლა, შედგენა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2.1.6. შრომითი ხელშეკრულებები (მასწავლებლები, ადმინისტრაციული პერსონალი), მატერიალური პასუხისმგებლობის ხელშეკრულებები, კოლექტიური პასუხისმგებლობის ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტი (მატერიალურ-ტექნიკურ ფასეულობების ფლობასთან დაკავშირებით).
2.1.7. დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებით დახმარების გაწევა.
2.1.8. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მდგომარეობის შესწავლა, შესაბამისი ანგარიშის მომზადება, წარდგენა კანონმდებლობით დადგენილ ვადაში საქართველოს პრეზიდენტთან და საქართველოს პარლამენტში.
2.1.9.საქმის წარმოება საერთო სასამართლოებში, ადმინისტრაციულ ორგანოებში (შრომითი დავები, ნებისმიერი სხვა დავა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასა და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს შორის, ქ.თბილისის ტერიტორიულ ორგანოებში).

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის საერთო ღირებულება შეადგენს 360 (სამას სამოცი) ლარს საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან ორი თვის განმავლობაში.
5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: თბილისის №202 საჯარო სკოლის შენობა.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველის და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით.
7.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
7.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ყოველთვიურად მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ ინვოისში მითითებულ საბანკო რეკვიზიტებზე დარიცხვის გზით.
7.4 ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
8.1.1.მოითხოვოს შემსყიდველისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრული მოცულობით შესრულება.
8.2. მიმწოდებელი ვალდებულია:
8.2.1. საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად, შემსყიდველს გაუწიოს კვალიფიციური მომსახურება და დაიცვას მისი კანონიერი უფლებები და ინტერესები.
8.2.2.შემსყიდველის თანხმობის გარეშე არ გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია (დოკუმენტაცია).
8.3. შემსყიდველი უფლებამოსილია:
8.3.1. მოითხოვოს მიმწოდებლისაგან იურიდიული მომსახურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.
8.3.2.იურიდიული მომსახურების ნებისმიერ სტადიაზე უარი განაცხადოს მიმწოდებლის მომსახურებაზე.
8.4. შემსყიდველი ვალდებულია:
8.4.1. დროულად და სრულად მიაწოდოს მიმწოდებელს საქმესთან დაკავშირებული ყველა სახის ინფორმაცია, წერილობითი დოკუმენტები და სხვ.
8.4.2.საქმეზე მტკიცებულებების შეგროვებას აწარმოებს შემსყიდველი თავისი ხარჯით, მიმწოდებლის მითითებების შესაბამისად. საპატიო მიზეზით ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში, მტკიცებულებების შეგროვებას აწარმოებს მიმწოდებელი შემსყიდველის ხარჯით წინასწარი შეთანხმების საფუძველზე.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან ორი თვის განმავლობაში.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის. გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე გამოწვეული ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები. აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესები

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია, გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მოწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
15.2 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
15.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.5. შემსყიდველის ინიციატივით ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, იურიდიული მომსახურებისათვის გაწეული თანხა მას უკან არ უბრუნდება.
15.6. მიმწოდებელი შემსყიდველს არ აძლევს დაპირებას (გარანტიას) საქმის შედეგებთან დაკავშირებით.
15.7. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი სხვა დამატებითი იურიდიული მომსახურება და მისი ანაზღაურების საკითხი განისაზღვრება ცალკე ხელშეკრულებით.
15.8. ამ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა წარმოებს წერილობითი ფორმით, მხარეთა მიერ წინასწარ მიღწეული შეთანხმებიდან გამომდინარე.
15.9. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0,5%.
15.10.მიმწოდებლის სკოლაში ყოფნის დრო განისაზღვრება კვირაში ორი საათით.

16. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
თბილისის №202 საჯარო სკოლა	
დირექტორი:	**ფ/პ ვლადიმერ გამრეკელაშვილი:**